ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4738912

ნომერი: AR1712969

თარიღი : 16.10.2019

გაცემის თარიღი : 05.11.2019

გაცნობის თარიღი : 05.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ასმათის ქუჩა , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 16 ოქტომბერს №AR1712969 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 09

სექტემბრის №4662838 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ასმათის ქუჩა №13, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.142), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 9 სექტემბრიდან 2021 წლის 9 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 07 ოქტომბრის №4700735 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +19.52 და 22.72 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებით შეთანხმებულ -2.880 ნიშნულის გეგმაზე სარდაფების ჯამური ფართი არასწორად არის მითითებული და სურს სარდაფის ფართობად 235.6კვ.მ-ის ნაცვლად 245.6 კვ.მ-ის დაფიქსირება. ასევე განმარტავს, რომ 25.920 ნიშნულის ექსპლიკაციაზე დამხმარე ფართობად 31.1 კვმ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 39.1 კვმ, შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებაში და სარდაფის ფართობად დაფიქსირდეს 245.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -2.88 და +25.92 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №4662838 და 2019 წლის 07 ოქტომბრის № 4700735 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.